**დიზაინების საერთაშორისო კლასიფიკაცია**
**(ლოკარნოს კლასიფიკაცია)**
**მე-15 რედაქცია**

***კლასებისა და ქვეკლასების ჩამონათვალი განმარტებითი შენიშვნებით***

# კლასი 01

## კვების პროდუქტები

*შენიშვნა:*
*ა) შეიცავს კვების პროდუქტებს ადამიანებისა და ცხოველებისათვის, მათ შორის, დიეტურ პროდუქტებს;*
*ბ) არ შეიცავს საფუთავებს (კლ. 09).*

**01-01 პურ-ფუნთუშეული, გამომცხვარი ნაწარმი, ორცხობილა, საკონდიტრო ნაწარმი, მაკარონი და მარცვლეულის სხვა პროდუქტები, შოკოლადი, ნაყინი**

**01-02 ხილი და ბოსტნეული, ხილისაგან და ბოსტნეულისაგან დამზადებული პროდუქტები**

**01-03 ყველი, კარაქი და კარაქის შემცვლელები, რძის სხვა პროდუქტები**

**01-04 ხორცის პროდუქტები (ღორის ხორცის პროდუქტების ჩათვლით), თევზი**

**01-05 ტოფუ და ტოფუს პროდუქტები**

**01-06 საკვები ცხოველებისათვის**

**01-99 სხვადასხვა**

## კლასი 02

### სამოსი და გალანტერია

***შენიშვნა:***
*არ შეიცავს თოჯინების სამოსს  (კლ. 21-01), ხანძარსაწინაღო, სამაშველო და უბედური შემთხვევის ასაცილებელ სპეციალურ აღჭურვილობას (კლ. 29) და სამოსს ცხოველებისათვის (კლ. 30-01).*

**02-01  საცვლები, ქალის საცვლები, კორსეტები, ღამის საცვლები**

***შენიშვნა:***
*ა) შეიცავს ორთოპედულ კორსეტებსა და საცვლებს;*
*ბ) არ შეიცავს საყოფაცხოვრებო თეთრეულს (კლ. 06-13).*

**02-02  ტანსაცმელი**

***შენიშვნა:***
*ა) შეიცავს ყველა სახის ტანსაცმელს, მათ შორის ბეწვეულის, საბანაო, სპორტულ და ორთოპედიულ ტანსაცმელს,*
*ბ) პუნქტში მითითებულის გარდა;*
*ბ) არ შეიცავს საცვლებს (კლ. 02-01), ასევე სამოსს, რომელიც მიეკუთვნება 02-03, 02-04, 02-05 ან 02-06 ქვეკლასებს.*

**02-03  თავსაბურავები**

***შენიშვნა:***
*შეიცავს მამაკაცის, ქალის და ბავშვის ყველა სახის თავსაბურავს.*

**02-04  ფეხსაცმელი, წინდები, მათ შორის, მაღალყელიანი**

***შენიშვნა:***
*შეიცავს, მათ შორის, სპეციალურ სპორტულ ფეხსაცმელებს, როგორიცაა ბუცები, სათხილამურო ფეხსაცმელი, ყინულის ჰოკეის ფეხსაცმელი, კოლგოტებს, გეტრებს და მსგავს სამოსს, ასევე ორთოპედიულ წინდებსა და ფეხსაცმელს.*

**02-05  ჰალსტუხები, შარფები, თავსაფრები, ყელსახვევები და ცხვირსახოცები**

***შენიშვნა:***
*შეიცავს სამოსის ყველა „ბრტყელ" საკუთნოს.*

**02-06  ხელთათმანები**

***შენიშვნა:***
*შეიცავს, მათ შორის, ქირურგიულ, საოჯახო  და სხვადასხვა საქმიანობაში ან სპორტში გამოსაყენებელ რეზინის ან სხვა პლასტიკურ დამცავ ხელთათმანებს.*

**02-07 გალანტერეა და სამოსის საკუთნო**

***შენიშვნა***

*ა) შეიცავს ღილებს, ტანსაცმლის, თავსაბურავებისა და ფეხსაცმლის შესაკრავებს, ზონრებსა და თასმებს, ქინძისთავებს, საკერავ, საქსოვ, საქარგ ხელის სამარჯვებს და საკუთნოს, საკუთნოს ტანსაცმლისათვის, როგორიცაა ქამრები, წვივსაკრავები, აჭიმები;*

*ბ) არ შეიცავს ძაფებსა და ნართს (კლ. 05-01), ნაწარმს დეკორატიული გაწყობისათვის (კლ. 05-04), საკერავ, საქსოვ და საქარგ მანქანებს (კლ. 15-06) ან ფუტლარებს საკერავი ნივთებისათვის (კლ. 03-01).*

**02-99 სხვადასხვა**

**დიზაინების საერთაშორისო კლასიფიკაცია**
**(ლოკარნოს კლასიფიკაცია)**
**მე-15 რედაქცია**

## კლასი 03

**სამგზავრო საკუთნო, ფუტლარები, ქოლგები და პირადი მოხმარების საგნები, რომლებიც არ შედის სხვა კლასებში**

**03-01 სამგზავრო ზანდუკები, ჩემოდნები, პორტფელები, ჩანთები, გასაღების საჭერები, სპეციალური დანიშნულების ფუტლარები, საფულეები და მისთანანი**

*შენიშვნა:*
*არ შეიცავს ნაკეთობებს ნაწარმის ტრანსპორტირებისათვის (კლ. 09) და სიგარების ან სიგარეტების კოლოფებს (კლ. 27-06).*

**03-02 [სარეზერვო ქვეკლასი]**

**03-03 წვიმისა და მზის ქოლგები, ხელჯოხები**

**03-04 მარაოები**

**03-05 მოწყობილოები ჩვილებთან და პატარა ბავშვებთან ერთად მგზავრობისა და სეირნობისათვის**

*შენიშვნა:*
*არ შეიცავს საბავშვო ტრანსპორტს (კლ. 06 და კლ. 12).*

**03-99 სხვადასხვა**

**დიზაინების საერთაშორისო კლასიფიკაცია**
**(ლოკარნოს კლასიფიკაცია)**
**მე-15 რედაქცია**

## კლასი 04

**ჯაგრისები და მისთანანი**

**04-01 ჯაგრისები და ცოცხები დასალაგებლად და გასაწმენდად**

*__შენიშვნა:__*
*არ შეიცავს ტანსაცმლის საწმენდ ჯაგრისებს (კლ. 04-02).*

**04-02 ტუალეტის ჯაგრისები და ფუნჯები, ტანსაცმლის და ფეხსაცმლის საწმენდი ჯაგრისები**

*__შენიშვნა:__*
*ა) ტერმინში „ტუალეტის ჯაგრისები“ იგულისხმება სხეულისათვის გამოსაყენებელი ჯაგრისები, მაგალითად, თმის, ფრჩხილების, კბილის ჯაგრისები;*
*ბ) არ შეიცავს ელექტრო კბილის ჯაგრისებს [მოწყობილობებს] ( კლ. 28-03).*

**04-03 მანქანის ჯაგრისები**

*__შენიშვნა:__*
*ტერმინში „მანქანის ჯაგრისები“ იგულისხმება ჯაგრისები, რომლებიც მანქანების ან სპეციალური სატრანსპოტო საშუალებების ნაწილს წარმოადგენს.*

**04-04 სახატავი ფუნჯები, საჭმლის დასამზადებლად გამოსაყენებელი ფუნჯები და ჯაგრისები**

**04-99 სხვადასხვა**

**დიზაინების საერთაშორისო კლასიფიკაცია**
**(ლოკარნოს კლასიფიკაცია)**
**მე-15 რედაქცია**

## კლასი 05

**საფეიქრო გასაზომი ნაწარმი, ხელოვნური და ნატურალური ფურცლოვანი მასალები**

*__შენიშვნა__:*
*ა) შეიცავს, მათ შორის, ყველა საფეიქრო ან მსგავს ნაწარმს, რომელიც იყიდება მეტრობით და არ არის აწყობილი;*
*ბ) არ შეიცავს მზა ნაწარმს (კლ. 02 ან კლ. 06).*

**05-01 ნართის ნაწარმი**

*__შენიშვნა:__*
*ა) შეიცავს ნართსა და ძაფს;*
*ბ) არ შეიცავს მაგალითად, თოკს, ბაგირს, მავთულის ბაგირს, კანაფს და ა.შ. (კლ. 09-06).*

**05-02 მაქმანები**

**05-03 ნაქარგები**

**05-04 სხვადასხვა დანიშნულების ლენტები; სირმები და მისთანანი, ნაწარმი დეკორატიული გაწყობისათვის**

**05-05 საფეიქრო ნაწარმი**

*__შენიშვნა:__*
*შეიცავს, მათ შორის, საფეიქრო ნაწარმს, ნაქსოვ, ტრიკოტაჟის ან სხვა საშუალებით დამზადებულ ქსოვილს, ბრეზენტს, თექას და ფეტრს.*

**05-06 ხელოვნური ან ნატურალური ფურცლოვანი მასალები**

*__შენიშვნა:__*
*ა) შეიცავს, მათ შორის, ნაწარმს ისეთი მახასიათებლებით, როგორიცაა მათი ზედაპირული ორნამენტი ან ტექსტურა, კერძოდ, ფურცლებს დასაფარად, როგორიცაა შპალერი, ლინოლეუმი, პლასტიკის თვითმწებავი ფურცლები, შესაფუთი ფურცლები და ქაღალდი რულონებით, ბ) პუნქტში მითითებულის გარდა;*
*ბ) არ შეიცავს საწერ ქაღალდს, რულონებითაც კი (კლ. 19-01), ასევე მშენებლობაში გამოსაყენებელ ფურცლოვან მასალებს, როგორიცაა საკედლე პანელები (კლ. 25-01).*

**05-99 სხვადასხვა**

# კლასი 06

## ავეჯეულობა

***შენიშვნა:***

*ა) კომბინირებული ავეჯი, რომელიც შედგება რამდენიმე ქვეკლასში შემავალი ელემენტებისაგან, მიეკუთვნება 06-05 კლასს;*

*ბ) ავეჯის ნაკრები, რამდენადაც ის შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც ერთ იდიზაინი, მიეკუთვნება 06-05 კლასს;*

*გ) არ შეიცავს საფეიქრო ნაწარმს (კლ. 05).*

### 06-01 დასაჯდომი ავეჯი

***შენიშვნა:***

*ა) შეიცავს ნებისმიერ დასაჯდომს, ისეთსაც, რომელიც გამოიყენება დასაწოლადაც, როგორიცაა, გრძელი სკამები, ტახტები, დივნები, ოტომანები, პუფები, თაროები საუნისათვის და სოფები;*

*ბ) შეიცავს, მათ შორის, დასაჯდომებს სატრანსპორტო საშუალებისათვის.*

### 06-02 საწოლები

***შენიშვნა:***

*ა) შეიცავს, მათ შორის, საყრდენებს მატრასებისათვის;*

*ბ) არ შეიცავს დასაჯდომებს, რომლებიც შეიძლება გამოიყენებოდეს დასაწოლადაც (კლასი 06-01) როგორიცაა, სკამები, ტახტები, დივნები, ოტომანები, პუფები, თაროები საუნისათვის და სოფები.*

### 06-03 მაგიდები და მსგავსი ავეჯი

***შენიშვნა:***

*არ შეიცავს თამაშებისთვის (კლასი 21-01) ან სპორტისთვის განკუთვნილ მაგიდებს (კლასი 21-02).*

### 6-04 ავეჯი დასაწყობად და შესანახად

***შენიშვნა:***

*ა) შეიცავს, მათ შორის, ბუფეტებს, კარადებს, ავეჯს უჯრებით ან განყოფილებებით და თაროებს;*

*ბ) შეიცავს კუბოებს, კუბოების სარჩულებსა და სამგლოვიარო ურნებს.*

### 06-05 კომბინირებული ავეჯი

### 06-06 სხვა ავეჯი და ავეჯის ნაწილები

### 06-07 სარკეები და ჩარჩოები

***შენიშვნა:***

*არ შეიცავს სარკეებს, რომლებიც სხვა კლასს მიეკუთვნება (იხ. ანბანის მიხედვით ჩამონათვალი).*

**06-08  ტანსაცმლის ჩამოსაკიდები**

**06-09  მატრასები და ბალიშები**

**06-10  ფარდები, შიდა შტორები**

**06-11  ხალიჩები, ჭილოფები**

**06-12  გობელენები**

**06-13  საბნები და სხვა გადასაფარებლები, ლოგინის, სასადილო და სხვა საოჯახო თეთრეული**

*__შენიშვნა__:*
*შეიცავს, მათ შორის, შალითებს ავეჯისთვის, საწოლის და მაგიდის გადასაფარებლებს.*

**06-99 სხვადასხვა**

## კლასი 07

**საოჯახო ნივთები, რომლებიც არ შედის სხვა კლასებში**

***შენიშვნა:***
*ა) შეიცავს ჭურჭლეულობას და საყოფაცხოვრებო ტექნიკას, რომელიც მოქმედებაში მოიყვანება ხელით, იმ შემთხვევაშიც კი, როცა აღჭურვილია ძრავათი;*
*ბ) არ შეიცავს საჭმლისა და სასმელების მოსამზადებელ მანქანებსა და მოწყობილობებს (კლ. 31).*

**07-01 ფაიფურისა და მინის ნაკეთობები, ჭურჭლეული და სხვა მსგავსი ნივთები**

***შენიშვნა***
*ა) შეიცავს ყველანაირი მასალის ჭურჭელს, მათ შორის, მუყაოს ან ქაღალდის ჭურჭელს;*
*ბ) არ შეიცავს საჭმლის მოსამზადებელ ჭურჭელს და ტევადობებს, როგორიცაა მინისა და კერამიკის ქვაბები (კლასი 07-02) ან საყვავილე ვაზები და ქოთნები, აგრეთვე ფაიფურისა და მინის დეკორატიული ნაწარმი (კლასი 11-02).*

**07-02 სამზარეულოს მოწყობილობები, ნივთები და კონტეინერები**

**07-03 სუფრის დანები, ჩანგლები, კოვზები**

**07-04 ხელით სამართავი მოწყობილობები და ჭურჭლეული საჭმლისა და სასმელის მოსამზადებლად**

***შენიშვნა:***
*ა) არ შეიცავს მოწყობილობებსა და ჭურჭელს, რომლებიც მიეკუთვნება 07-02 და 31-00 კლასს;*
*ბ) არ შეიცავს სამზარეულოს დანებს და დანებს ძვლოვანი ხორცის დასამუშავებლად (კლ. 08-03).*

**07-05 უთოები და სარეცხი, საწმენდი და საშრობი მოწყობილობები**

***შენიშვნა:***
*არ შეიცავს სარეცხ, საწმენდ ან საშრობ ელექტროსაყოფაცხოვრებო მოწყობილობებს (კლასი 15-05).*

**07-06 სამზარეულოს და მაგიდის სხვა საკუთნო**

**07-07 სხვა საყოფაცხოვრებო სათავსები**

**07-08 საკუთნო ბუხრისათვის**

**07-09 სადგამები და საჭერები ჭურჭლის და საყოფაცხოვრებო ტექნიკისათვის**

| |
|---|
| **07-10  გამაგრილებელი და საყინულე მოწყობილობები და იზოთერმული კონტეინერები** |

| |
|---|
| **07-99  სხვადასხვა** |

**დიზაინების საერთაშორისო კლასიფიკაცია**
**(ლოკარნოს კლასიფიკაცია)**
**მე-15 რედაქცია**

## კლასი 08

**სამუშაო იარაღები და კავეული**

***შენიშვნა:***
*ა) შეიცავს ხელით მოქმედ ყველა იარაღს და სამარჯვს, იმ შემთხვევაშიც კი, როცა კუნთური ძალის ნაცვლად გამოიყენება მექანიკური ძალა, მაგალითად, ელექტრული ხერხები და ბურღები;*
*ბ) არ შეიცავს მანქანებსა და ჩარხებს (კლ. 15 ან კლ. 31).*

**08-01 სამარჯვები და იარაღი ბურღვისათვის, ფრეზვისათვის ან მიწის სამუშაოებისათვის**

**08-02 უროები და მსგავსი სამარჯვები და იარაღები**

**08-03 საჭრელი იარაღები და სამარჯვები**

***შენიშვნა***
*ა) შეიცავს, მათ შორის, სახერხ სამარჯვებსა და იარაღს;*
*ბ) არ შეიცავს სუფრის დანებს (კლ. 07-03), საჭრელ იარაღს და ხელსაწყოებს სამზარეულოსათვის (კლ.31), ან ქირურგიულ დანებს (კლ. 24-02).*

**08-04 სახრახნისები, ქანჩის გასაღებები და მათი საკუთნო**

**08-05 სხვა სამარჯვები და იარაღი**

***შენიშვნა:***
*ა) შეიცავს, მათ შორის, იარაღს, რომლებიც არ შედის სხვა კლასებში ან ქვეკლასებში;*
*ბ) შეიცავს მათ შორის, ზუმფარის ბლოკებს და ქარგოლებს სახეხ-საპრიალებელი მანქანებისათვის;*
*გ) არ შეიცავს ზუმფარის ქაღალდს (კლ. 05-06).*

**08-06 სახელურები, კნოპები და კარის ანჯამები**

**08-07 ჩამკეტი ან დამხურავი მოწყობილობები**

***შენიშვნა:***
*არ შეიცავს საგალანტერიო ბალთებს (კლ. 02-07) და გასაღების რგოლებს (კლ. 03-01).*

**08-08 სამაგრი, საყრდენი ან სამონტაჟო მოწყობილობები, რომლებიც არ შედის სხვა კლასებში**

***შენიშვნა:***
*ა) შეიცავს, მათ შორის, ლურსმნებს, ხრახნებს, ჭანჭიკებსა და ქანჩებს;*
*ბ) არ შეიცავს ტანსაცმლის (კლ. 02-07), სამკაულის (კლ. 11-01), აგრეთვე საოფისე (კლ. 19-02) სამაგრ მოწყობილობებს.*

**08-09  მეტალის არმატურა და სამაგრები კარების, ფანჯრების და ავეჯისათვის  და მსგავსი ნაწარმი, რომლებიც არ შედის სხვა კლასებში ან ქვეკლასებში**

**08-10  ველოსიპედების და მოტოციკლეტების დგარები**

***შენიშვნა:***
*ა) შეიცავს, მათ შორის, სარემონტო სტენდებს ან დგარებს ველოსიპედის პარკირებისათვის;*
*ბ) არ შეიცავს დასაკეც დგარებს, რომლებიც ელოსიპედის დგარებს წარმოადგენს (კლ. 12-11).*

**08-11  კავეული ფარდებისათვის**

**08-99  სხვადასხვა**

***შენიშვნა:***
*შეიცავს  არაელექტრულ გვარლებსაც, მიუხედავად იმისა, რომელი მასალისგან არის დამზადებული.*

**დიზაინების საერთაშორისო კლასიფიკაცია**
**(ლოკარნოს კლასიფიკაცია)**
**მე-15 რედაქცია**

# კლასი 09

## საფუთავები და კონტეინერები, რომლებიც გამოიყენება საქონლის ტრანსპორტირებისათვის ან გადასატანად

**09-01 ბოთლები, მათარები, ფლაკონები, ქილები, ბოცები, შემოწნული ბოცები და ჰერმეტული ჭურჭელი**

*შენიშვნა:*
*ა) ტერმინში „ქილები“ იგულისხმება ტევადობები, რომლებიც კონტეინერებად გამოიყენება;*
*ბ) არ შეიცავს ჭურჭლის სახით გამოყენებულ ქილებს (კლ.07-01) ან საყვავილე ქოთნებს (კლ. 11-02).*

**09-02 შესანახი ბიდონები, ხელკასრები და კასრები**

**09-03 კოლოფები, ყუთები, კონტეინერები, თუნუქის ქილები**

*შენიშვნა:*
*შეიცავს, მათ შორის, სატვირთო კონტეინერებს.*

**09-04 სახურავიანი კალათები, კალათები და ცხრილა ტარა**

**09-05 ტომრები, პაკეტები, ტუბები და კაფსულები**

*შენიშვნა:*
*ა) შეიცავს, მათ შორის, პლასტიკის ტომრებსა და პაკეტებს სახელურით, სახელურის გარეშე, ან საკეტი საშუალებებით.*
*ბ) ტერმინში „კაფსულა“ იგულისხმება კაფსულები, რომლებიც გამოიყენება საფუთავად.*

**09-06 თოკები, ბაგირები და საგვერგვე მასალები**

**09-07 დასახური საშუალებები და სამარჯვები**

*შენიშვნა:*
*ა) შეიცავს მხოლოდ საფუთავების დასახურ საშუალებებს;*
*ბ) ტერმინში „სამარჯვები“ იგულისხმება, მაგალითად, მანაწილებელი და მადოზირებელი სამარჯვები, რომლებიც დამონტაჟებულია კონტეინერებში, და მოსახსნელი საფრქვევლები.*

**09-08 ქვეშები და ბაქნები ორკაპა სატვირთველებისათვის**

**09-09 კონტეინერები ნაგვისა და ნარჩენებისათვის და დგარები მათთვის**

**09-10 სახელურები და საჭერები საფუთავების და კონტეინერების გადასატანად და ტრანსპორტირებისათვის**

**09-99 სხვადასხვა**

**დიზაინების საერთაშორისო კლასიფიკაცია**
**(ლოკარნოს კლასიფიკაცია)**
**მე-15 რედაქცია**

## კლასი 10

**საათები, მაჯის საათები და სხვა საზომი, საკონტროლო და სასიგნალო ხელსაწყოები**

***შენიშვნა:***
*შეიცავს, მათ შორის, ელექტროძრავიან ხელსაწყოებს.*

**10-01 კედლის, კოშკურას, მაგიდის საათები და მაღვიძარები**

**10-02 საათები მაჯის, ჯიბის და მისთანანი**

**10-03 დროის საზომი სხვა ხელსაწყოები**

***შენიშვნა:***
*შეიცავს, მათ შორის, დროის საზომ ისეთ ხელსაწყოებს, როგორიცაა სატარიფო მრიცხველები ავტომანქანის სადგომებისათვის, სამზარეულოს ტაიმერებს და მსგავს ხელსაწყოებს.*

**10-04 სხვა საზომი იარაღები, ხელსაწყოები და მოწყობილობები**

***შენიშვნა:***
*ა) შეიცავს, მათ შორის, იარაღებს, ხელსაწყოებსა და მოწყობილობებს ტემპერატურის, წნევის, წონის, სიგრძის, მოცულობის, ელექტრობის გასაზომად;*
*ბ) არ შეიცავს ფოტოექსპონომეტრებს (კლ. 16-05);*
*გ) არ შეიცავს სპეციალურ სამედიცინო საზომ ხელსაწყოებს (კლ. 24-02).*

**10-05 იარაღები, ხელსაწყოები და მოწყობილობები შესამოწმებლად, უსაფრთხოებისათვის ან გამოსაცდელად**

***შენიშვნა:***
*ა) შეიცავს, მათ შორის, სიგნალიზაციის მოწყობილობებს ხანძრის ან ძარცვის შემთხვევებისათვის, ასევე სხვადასხვა დანიშნულების დეტექტორებს;*
*ბ) არ შეიცავს სამედიცინო ტესტირების სპეციალურ ხელსაწყოებს და აღჭურვილობას (კლ. 24-01).*

**10-06 სასიგნალო ხელსაწყოები და მოწყობილობები**

***შენიშვნა:***
*არ შეიცავს სატრანსპორტო საშუალებების სანათ ან სასიგნალო მოწყობილობებს (კლ. 26-06).*

**10-07 კორპუსები, ციფერბლატები, ისრები და სხვა დეტალები და საკუთნოები საზომი, შესამოწმებელი და სასიგნალო ხელსაწყოებისთვის**

***შენიშვნა:***
*ტერმინში „კორპუსი“ იგულისხმება ყველა სახის საათის კორპუსი და ასევე ყველა კორპუსი, რომლებიც წარმოადგენენ იმ ხელსაწყოების განუყოფელ ნაწილს, რომლის მექანიზმსაც ისინი იცავენ, გარდა იმ კორპუსებისა (ფუტლარებისა), რომლებიც სპეციალურად გამიზნულია შიგთავსისათვის (კლ. 03-01) ან შეფუთვისათვის (კლ. 09-03).*

**10-99 სხვადასხვა**

# კლასი 11

**სამკაულები, მოსართავი საგნები**

**11-01 საიუველირო ნაკეთობანი**

***შენიშვნა:***
*ა) შეიცავს, მათ შორის, სადღესასწაულო სამკაულებს და ბიჟუტერიას;*
*ბ) არ შეიცავს საათებს (კლ. 10-02).*

**11-02 სამშვენისები, მაგიდის, ბუხრის და კედლის მორთულობები, საყვავილე ვაზები, ქოთნები**

***შენიშვნა:***
*შეიცავს, მათ შორის, ქანდაკებებს, მობაილებს და სტატუეტებს.*

**11-03 მედლები, ორდენები, სამკერდე ნიშნები**

**11-04 ხელოვნური ყვავილები, მცენარეები და ხილი**

**11-05 დროშები, სადღესასწაულო მორთულობა**

***შენიშვნა:***
*ა) შეიცავს მათ, შორის, გირლიანდებს, ალმებს და საახალწლო ნაძვის ხის მორთულობებს.*
*ბ) არ შეიცავს სანთლებს (კლ. 26-04).*

**11-99 სხვადასხვა**

## დიზაინების საერთაშორისო კლასიფიკაცია
## (ლოკარნოს კლასიფიკაცია)
## მე-15 რედაქცია

# კლასი 12
## სატრანსპორტო ან ამწევი საშუალებები

*შენიშვნა:*

*ა) შეიცავს ყველა სახის სატრანსპორტო საშუალებას: მიწისზედას, საზღვაოს, საჰაეროს, კოსმოსურს და სხვა.*

*ბ) შეიცავს დეტალებს, ელემენტებს და დამხმარე მოწყობილობებს, რომლებიც გამოიყენება მხოლოდ სატრანსპორ-ტო საშუალებებთან ერთად და არ მიეკუთვნება სხვა კლასს; სატრანსპორტო საშუალებების აღნიშნული დეტალები, ელემენტები და დამხმარე მოწყობილობები უნდა მიეკუთვნოს სატრანსპოტო საშუალებათა სახეობების მიხედვით შესაბამის ქვეკლასს ან კლასს 12-06, თუ ისინი საერთოა რამდენიმე სახეობის სატრანსპოტო საშუალებისათვის.*

*გ) არ შეიცავს სატრანსპორტო საშუალებების დეტალებს, ელემენტებს და დამხმარე მოწყობილობებს, რომლებიც შეიძლე-ბა მიეკუთვნოს სხვა კლასს. ასეთი დეტალები, ელემენტები და დამხმარე მოწყობილობები უნდა მიეკუთვნოს კლასს, რომელშიც შედის იმავე დანიშნულების და ანალოგიური ფუნქციების მქონე ნაწარმი. მაგალითად, მანქანის ხალიჩები ან ჭილოფები უნდა მიეკუთვნოს ხალიჩების კლასს ( კლ. 06-11), სატრასპორტო საშუალებების ელექტროძრავები - კლასს 13-01, ხოლო სატრანსპორო საშუალებების არაელექტრული ძრავები - კლასს 15-01 (იგივე ეხება ამ ძრავების დეტალებსაც), ავტომობილების ფარები უნდა მიეკუთვნოს სანათ მოწყობილობებს (კლ. 26-06).*

*დ) არ შეიცავს სატრანსპორტო საშუალებების მასშტაბურ მოდელებს (კლ. 21-01).*

**12-01 საჭაპანო ტრანსპორტი**

**12-02 ხელის ურიკები, მაზიდები**

**12-03 ლოკომოტივები და მოძრავი შემადგენლობა სარკინიგზო და ყველა სხვა სარელსო სატრანსპორტო საშუალებისათვის**

**12-04 ტელფერული კიდული გზები, სავარძლიანი საწეველები, სათხილამურო გზების საწეველები**

**12-05 ამწევი მოწყობილობები დასატვირთად ან გადასატანად**

*შენიშვნა:*
*შეიცავს, მათ შორის, სამგზავრო ლიფტებს, ტვირთამწევებს, ამწევ მოწყობილობებს, ორკაპა ავტოსატვირთველებსა და ლენტურ კონვეიერებს.*

**12-06 გემები, ნავები და სხვა მცურავი საშუალებები**

**12-07 თვითმფრინავები და სხვა საფრენი და კოსმოსური აპარატები**

**12-08 ავტომობილები და სატვირთო მანქანები, ავტობუსები**

*შენიშვნა:*
*შეიცავს, მათ შორის, სასწრაფო დახმარების მანქანებსა და ავტომობილ-რეფრიჟერატორებს.*

**12-09 საწევარები, ტრაქტორები**

**12-10 მისაბმელები საგზაო სატრანსპორტო საშუალებებისათვის**

*შენიშვნა:*
*შეიცავს, მათ შორის, საცხოვრებელ ავტომისაბმელებსაც.*

**12-11 ველოსიპედები და მოტოციკლები**

**12-12 საბავშვო ეტლები, ინვალიდის სავარძლები, საკაცეები**

*შენიშვნა:*
*ა) ტერმინში „საბავშვო ეტლები"იგულისხმება ბავშვის გადასაყვანი ეტლები;*
*ბ) არ შეიცავს ბავშვის სათამაშო ეტლებს. (კლ. 21-01).*

**12-13 სპეციალური დანიშნულების სატრანსპორტო საშუალებები**

*შენიშვნა:*
*ა) შეიცავს მხოლოდ სპეციალური დანიშნულების სატრანსპორტო საშუალებებს, როგორიცაა ქუჩის დასასუფთავებელი, სარწყავი, სახანძრო, თოვლსაღები, ტექნიკური დახმარების მანქანები;*
*ბ) არ შეიცავს მრავალდანიშნულებიან სასოფლო-სამეურნეო მანქანებს (კლ. 15-03) და მშენებლობაში გამოსაყენებელ თვითმავალ მანქანებს (კლ. 15-04).*

**12-14 სხვა სატრანსპორტო საშუალებები**

*შენიშვნა:*
*შეიცავს, მათ შორის, მარხილებსა და სატრანსპორტო საშუალებებს ჰაერის ბალიშზე.*

**12-15 სალტეები და მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვები სატრანსპორტო საშუალებებისათვის**

**12-16 სატრანსპორტო საშუალებების ნაწილები, მოწყობილობები და დამხმარე მოწყობილობები, რომლებიც არ განეკუთვნება სხვა კლასებს ან ქვეკლასებს**

*შენიშვნა:*
*ა) არ შეიცავს უსაფრთხოების ქამრებს სატრანსპორტო საშუალებების სავარძლებისათვის (კლ.29-02) და სატრანსპორტო საშუალებების კარების სახელურებს (კლ. 08-06);*
*ბ) არ შეიცავს პანტოგრაფებს ელმავლისა ან ტრამვაისათვის (კლ. 13-03).*

**12-17 სარკინიგზო ინფრასტრუქტურის ელემენტები**

*შენიშვნა:*
*არ შეიცავს სარკინიგზო რელსებს და შპალებს (კლ.25-01), ბუფერებს სარკინიგზო ტერმინალებისათვის (კლ.25-99) და სარკინიგზო სასიგნალო მოწყობილობებს (კლ.10-06).*

**12-99 სხვადასხვა**

**დიზაინების საერთაშორისო კლასიფიკაცია**
**(ლოკარნოს კლასიფიკაცია)**
**მე-15 რედაქცია**

## კლასი 13

**მოწყობილობები ელექტრული ენერგიის მისაღებად, გასანაწილებლად და გარდასაქმნელად**

***შენიშვნა:***

*ა) შეიცავს მხოლოდ ელექტროენერგიის წარმოსაქმნელ, გამანაწილებელ და გარდამქმნელ მოწყობილობებს;*
*ბ) შეიცავს ელექტროძრავებსაც;*
*გ) არ შეიცავს ხელსაწყოებს ელექტრული ამძრავით, მაგალითად, ელექტრულ საათებს (კლ. 10-02) და ელექტრული დენის საზომ ხელსაწყოებს (კლ. 10-04).*

**13-01 გენერატორები და ძრავები**

***შენიშვნა:***
*შეიცავს, მათ შორის, სატრანსპორტო საშუალების ელექტროძრავებს.*

**13-02 ტრანსფორმატორები, გამმართველები, ბატარეები და აკუმულატორები**

**13-03 მოწყობილობები ელექტრული ენერგიის განაწილების ან რეგულირებისათვის**

***შენიშვნა:***
*შეიცავს, მათ შორის, გამტარებს, გადამრთველებს და მანაწილებელ დაფებს.*

**13-04 მოწყობილობები მზის ენერგიისათვის**

***შენიშვნა:***
*არ შეიცავს მზის თბურ კოლექტორებს (კლ. 23-03).*

**13-99 სხვადასხვა**

## კლასი 14
**ინფორმაციის ჩამწერი, გადამცემი და დამამუშავებელი მოწყობილობები**

**14-01 ხმის ან გამოსახულების ჩამწერი ან აღმწარმოებელი მოწყობილობები**

***შენიშვნა:***
*არ შეიცავს ფოტო ან კინოაპარატებს (კლ.16).*

**14-02 მონაცემთა დამამუშავებელი მოწყობილობები, ასევე პერიფერიული აპარატები და მოწყობილობები**

**14-03 კავშირგაბმულობის, დისტანციური მართვის მოწყობილობები და რადიოგამაძლიერებლები**

***შენიშვნა:***
*შეიცავს, მათ შორის, სატელეგრაფო, სატელეფონო და სატელევიზიო აპარატურას, აგრეთვე სატელევიზიო კამერებს, რადიოაპარატურასა და ტელეტაიპებს.*

**14-04 *მომხმარებლის გრაფიკული ინტერფეისები და სიმბოლური გამოსახულებები* ეკრანისათვის**

***შენიშვნა:***
*შეიცავს ზემოთ აღნიშნულს სხვა კლასებში შემავალი პროდუქტისთვისაც.*

**14-05 ჩაწერილი ინფორმაციის შესანახი მოწყობილობები**

**14-06 ელექტრონული მოწყობილობების სადგარები, საყრდენები და საჭერები, რომლებიც არ შედის სხვა კლასში**

**14-99 სხვადასხვა**

**დიზაინების საერთაშორისო კლასიფიკაცია**
**(ლოკარნოს კლასიფიკაცია)**
**მე-15 რედაქცია**

## კლასი 15

**მანქანები და მექანიზმები, რომლებიც არ მიეკუთვნება სხვა კლასებს**

**15-01 ძრავები**

***შენიშვნა:***
*ა) შეიცავს, მათ შორის, სატრანსპორტო საშუალებების არაელექტრულ ძრავებს;*
*ბ) არ შეიცავს ელექტოძრავებს (კლ. 13).*

**15-02 ტუმბოები და კომპრესორები**

***შენიშვნა:***
*არ შეიცავს ხელის ან ფეხის ტუმბოებს (კლ. 08-05), აგრეთვე სახანძრო ტუმბოებს (კლ. 29-01).*

**15-03 სასოფლო–სამეურნეო და სატყეო მანქანები**

***შენიშვნა:***
*ა) შეიცავს, მათ შორის, გუთნებს და კომბინირებული ტიპის მანქანებს, რომლებიც ერთდროულად წარმოადგენენ მანქანებსაც და სატრანსპორტო საშუალებესაც, მაგალითად, სამკალი და ძნასაკვრელი მანქანები;*
*ბ) არ შეიცავს ხელის იარაღებს (კლ. 08).*

**15-04 სამშენებლო მანქანები**

***შენიშვნა:***
*ა) შეიცავს, მათ შორის, მანქანებს, რომლებიც გამოიყენება სამოქალაქო მშენებლობაში, აგრეთვე თვითმავალ მანქანებს, როგორიცაა ექსკავატორები, ბეტონსარევები და დრაგები;*
*ბ) არ შეიცავს ტვირთამწევებს და ამწევ მოწყობილობებს (კლ. 12-05).*

**15-05 სარეცხი, საწმენდი და საშრობი მანქანები**

***შენიშვნა:***
*ა) შეიცავს, მათ შორის, თეთრეულისა და ტანსაცმლის დამამუშავებელ აპარატებსა და მანქანებს, როგორიცაა საუთოვებელი და საწური მანქანები;*
*ბ) შეიცავს ჭურჭლის სარეცხ მანქანებს და სამრეწველო საშრობ მოწყობილობებს.*

**15-06 საფეიქრო, საკერავი, საქსოვი და საქარგავი მანქანები, მათი ყველა ნაწილის ჩათვლით**

**15-07 სამაცივრო მანქანები და აპარატები**

***შენიშვნა:***
*ა) შეიცავს საყოფაცხოვრებო მაცივრებსაც;*
*ბ) არ შეიცავს ვაგონ-რეფრიჟერატორებს (სარელსო) (კლ. 12-03), აგრეთვე ავტომობილ რეფრიჟერატორებს (კლ. 12-08).*

**15-08 [სარეზერვო ქვეკლასი]**

**15-09 ლითონსაჭრელი ჩარხები, სახეხი და სამსხმელო მოწყობილობები**

***შენიშვნა:***
*შეიცავს, მათ შორის, 3D საბეჭდ მოწყობილობებს.*

**15-10 შემვსები, შემხვევი და შემფუთავი მოწყობილობები**

**15-99 სხვადასხვა**

## კლასი 16

**ფოტო და კინოაპარატურა, ოპტიკური ხელსაწყოები**

*შენიშვნა:*
*არ შეიცავს ფოტოგრაფიაში ან კინემატოგრაფიაში გამოსაყენებელ სანათ ხელსაწყოებს (კლ. 26-05).*

**16-01 ფოტოაპარატები და კინოკამერები**

**16-02 პროექტორები და დიასკოპები**

**16-03 ფოტოპირგადასაღები მოწყობილობები და ფოტოგამადიდებლები**

***შენიშვნა:***
*შეიცავს, მათ შორის, მიკროფილმების გადასაღებ მოწყობილობებს და აპარატურას მიკროფილმების სანახავად, აგრეთვე ფოტოგრაფიისაგან განსხვავებულად (ცრძოდ, თერმული ან მაგნიტური პროცესებით) მომუშავე საოფისე მოწყობილობებს ე.წ. ფოტოპირგადაღებებისათვის.*

**16-04 გამოსამჟღავნებელი მოწყობილობები**

**16-05 დამხმარე მოწყობილობები (აქსესუარები) ფოტოგრაფიული და კინემატოგრაფიული აპარატურისათვის**

***შენიშვნა:***
*შეიცავს მათ შორის, ფილტრებს ფოტოაპარატებისათვის, ექსპონომეტრებს, შტატივებს და მოწყობილობებს ფოტოგანათებისათვის.*

**16-06 ოპტიკური ხელსაწყოები**

***შენიშვნა:***
*ა) შეიცავს, მათ შორის, სათვალეებსა და მიკროსკოპებს;*
*ბ) არ შეიცავს ოპტიკური მოწყობილობების შემცველ საზომ ხელსაწყოებს (კლ. 10-04).*

**16-99 სხვადასხვა**

# კლასი 17

**მუსიკალური ინსტრუმენტები**

***შენიშვნა:***

*არ შეიცავს მუსიკალური ინსტრუმენტების ბუდეებს (კლ. 03-01), აგრეთვე ხმის ჩამწერ და აღმდგენ მოწყობილობებს (კლ. 14-01).*

**17-01 კლავიშიანი მუსიკალური ინსტრუმენტები**

***შენიშვნა:***

*შეიცავს, მათ შორის, ელექტრონულ ან სხვა ორღანებს, აკორდეონებს, და ფორტეპიანოებს, მათ შორის, მექანიკურს.*

**17-02 სასულე მუსიკალური ინსტრუმენტები**

***შენიშვნა:***

*არ შეიცავს ორღანებს, ფისჰარმონიებს და აკორდეონებს (კლ. 17-01).*

**17-03 სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტები**

**17-04 დასარტყამი მუსიკალური საკრავები**

**17-05 მექანიკური მუსიკალური ინსტრუმენტები**

***შენიშვნა:***

*ა) შეიცავს, მათ შორის, მუსიკალურ ზარდახშებს;*

*ბ) არ შეიცავს კლავიშიან მექანიკურ ინსტრუმენტებს (კლ.17-01).*

**17-99 სხვადასხვა**

**დიზაინების საერთაშორისო კლასიფიკაცია**
**(ლოკარნოს კლასიფიკაცია)**
**მე-15 რედაქცია**

## კლასი 18
**სასტამბო და საოფისე მოწყობილობები**

**18-01** საბეჭდი და საანგარიშო მანქანები

***შენიშვნა:***
*არ შეიცავს კომპიუტერებსა და სხვა მოწყობილობებს, რომლებიც მიეკუთვნება 14-02 კლასს.*

**18-02 ამოსაბეჭდი მანქანები**
***შენიშვნა:***
*ა) შეიცავს, მათ შორის, წიგნის დასაკაბადონებელ მანქანებს, სტერეოტიპულ მანქანებსა და აპარატებს, ტიპოგრაფიულ და სხვა სამრავლებელ მანქანებს, როგორიცაა, პირგადასაღები და ობსეტური მანქანები და მოწყობილობები, აგრეთვე დამმისამართებელ, ფრანკირების და საფოსტო მარკების გასაუქმებელ მანქანებს;*
*ბ) არ შეიცავს კომპიუტერულ საბეჭდ მოწყობილობებს (კლ. 14-02) და ფოტოპირგადასაღებ მანქანებს (კლ. 16-03).*

**18-03 შრიფტები და შრიფტის გარნიტურა**

**18-04 წიგნების ასაკინძი მანქანები, ასაკინძი კავების დასამაგრებელი მანქანები (სტეპლერები), ქაღალდსაჭრელი და კიდეების შემოსაჭრელი მანქანები საამკინძაო სამუშაოებისათვის**

***შენიშვნა:***
*შეიცავს, მათ შორის, ქაღალდის დასაჭრელად გამოსაყენებელ მსგავს მოწყობილობებს.*

**18-99 სხვადასხვა**

**დიზაინების საერთაშორისო კლასიფიკაცია**
**(ლოკარნოს კლასიფიკაცია)**
**მე-15 რედაქცია**

## კლასი 19

**საკანცელარიო და საოფისე მოწყობილობები, მასალები და საკუთნო მხატვრული შემოქმედებისა და სწავლებისათვის**

**19-01 საწერი ქაღალდები, კორესპონდენციის და საუწყებო ბარათები**

***შენიშვნა:***
*შეიცავს ყველა სახის ქაღალდს, რომლებიც განკუთვნილია საწერად, ხაზვის, ხატვისა და ბეჭდვისათვის, როგორიცაა კალკი, პირგადასაღები ქაღალდი, საგაზეთე ქაღალდი, კონვერტები, მისალოცი და ილუსტრირებული საფოსტო ბარათები, მათ შორის ისეთებიც, რომლებიც შეიცავენ ხმის ჩანაწერს.*

**19-02 *საოფისე მოწყობილობები და საკუთნო***

***შენიშვნა:***
*ა) შეიცავს, მათ შორის, სალაროს აპარატებისათვის გამოსაყენებელ მოწყობილობებს, როგორიცაა, მაგალითად, მონეტების დამხარისხებელი მოწყობილობა;*
*ბ) საოფისე მოწყობილობების ზოგიერთი სახეობა უნდა მიეკუთვნოს სხვა კლასებს და ქვეკლასებს. მაგალითად, საოფისე ავეჯი უნდა მიეკუთვნოს მე-6 კლასს, საოფისე მანქანები და მოწყობილობები 14-02, 16-03, 18-01, 18-02 ან 18-04 კლასს, საწერი მასალები 19-01 ან 19-06 კლასს (იხ. ანბანური ჩამონათვალი).*

**19-03 კალენდრები**

***შენიშვნა:***
*არ შეიცავს უბის წიგნაკ-კალენდრებს (კლ. 19-04).*

**19-04 წიგნები და მისთანანი**

***შენიშვნა:***
*შეიცავს წიგნის გარეკანებს, ყდებს, ალბომებს, უბის წიგნაკებსა და მსგავს საგნებს.*

**19-05 [სარეზერვო ქვეკლასი]**

**19-06 მასალები და ინსტრუმენტები ხელით საწერად, ხაზვის, ხატვის, ზეთის საღებავებით ხატვის, გრავირების და სხვა მხატვრული შემოქმედებისათვის**

***შენიშვნა:***
*არ შეიცავს სახატავ ფუნჯებს, (კლ. 04-04), სახაზავ მაგიდებსა და მასზე თანდართულ აღჭურვილობას (კლ. 06-03), აგრეთვე, საწერ ქაღალდს (კლ. 19-01).*

**19-07 სასწავლო მასალები და ხელსაწყოები**

***შენიშვნა:***
*ა) შეიცავს, მათ შორის, ყველა სახის რუკას, გლობუსებს და პლანეტარიუმებს.*
*ბ) არ შეიცავს აუდიოვიზუალურ სასწავლო საშუალებებს (კლ. 14-01).*

**19-08 ნაბეჭდი პროდუქციის სხვა სახეობები**

***<u>შენიშვნა:</u>***
*შეიცავს, მათ შორის, სარეკლამო ნაბეჭდ პროდუქციას.*

**19-99 სხვადასხვა**

## კლასი 20

**სავაჭრო და სარეკლამო მოწყობილობები, მაჩვენებელი ნიშნები**

**20-01 სავაჭრო ავტომატები**

**20-02 სავაჭრო და საგამოფენო მოწყობილობები**

***შენიშვნა:***
*არ შეიცავს ავეჯეულობას (კლ. 06).*

**20-03 ფირნიშები, მაჩვენებელი ნიშნები და სარეკლამო მოწყობილობები**

***შენიშვნა:***
*ა) შეიცავს, მათ შორის, მანათობელ და მობილურ სარეკლამო მოწყობილობებს;*
*ბ) არ შეიცავს საფუთავებს (კლ. 09) და სასიგნალო მოწყობილობებს (კლ. 10-06).*

**20-99 სხვადასხვა**

**დიზაინების საერთაშორისო კლასიფიკაცია**
**(ლოკარნოს კლასიფიკაცია)**
**მე-15 რედაქცია**

## კლასი 21

**თამაშები, სათამაშოები, კარვები და სასპორტო საქონელი**

**21-01 თამაშები და სათამაშოები**

*__შენიშვნა:__*
*ა) შეიცავს, მათ შორის, მასშტაბურ მოდელებს;*
*ბ) არ შეიცავს სათამაშოებს ცხოველებისათვის (კლ. 30-99).*

**21-02 სავარჯიშო და სასპორტო იარაღი და მოწყობილობები**

*__შენიშვნა:__*
*ა) შეიცავს, მათ შორის, სასპორტო იარაღებსა და მოწყობილობებს, რომლებიც აუცილებელია სპორტის სხვადასხვა სახეობებისათვის და არ გააჩნიათ სხვა დანიშნულება, მაგალითად, ფეხბურთის ბურთები, თხილამურები და ჩოგბურთის ჩოგნები, იმ სასპორტო საგნების გამოკლებით, რომლებიც კლასიფიცირდება სხვადასხვა კლასებში სხვა ფუნქციების მიხედვით, მაგალითად, კანოები, ნავები (კლ. 12- 06). საჭაურო თოფები (კლ. 22-01), ხალიჩები სპორტისათვის (კლ. 06-11);*
*ბ) შეიცავს, მათ შორის, მოწყობილობებს ვარჯიშისათვის, სასპორტო იარაღსა და მოწყობილობებს ღია სივრცეში სათამაშოდ;*
*გ) არ შეიცავს სასპორტო ტანსაცმელს (კლ. 02), აგრეთვე ტობოგანებს ან მარხილებს (კლ. 12-14).*

**21-03 სხვა საგნები გართობისათვის**

*__შენიშვნა:__*
*ა) შეიცავს, მათ შორის, კარუსელებსა და ავტომატებს აზარტული თამაშებისათვის.*
*ბ) არ შეიცავს თამაშებსა და სათამაშოებს (კლ. 21-01) ან სხვა საგნებს, რომლებიც მიეკუთვნება 21-01 ან 21-02 კლასებს.*

**21-04 კარვები და მათი საკუთნო**

*__შენიშვნა:__*
*ა) შეიცავს, მათ შორის, ლატანებს, პალოებს და მისთანებს;*
*ბ) არ შეიცავს სხვა ნაწარმს ტურიზმისათვის, რომლებიც მათი დანიშნულების მიხედვით უნდა მიეკუთვნოს სხვა კლასებს, როგორიცაა, სკამები (კლ. 06-01), მაგიდები (კლ. 06-03), თეფშები (კლ. 07-01) და საყოფაცხოვრებო მისაბმელები (კლ. 12-10).*

**21-99 სხვადასხვა**

**დიზაინების საერთაშორისო კლასიფიკაცია**
**(ლოკარნოს კლასიფიკაცია)**
**მე-15 რედაქცია**

## კლასი 22
**იარაღი, პიროტექნიკური ნაწარმი, სანადირო, სათევზაო და მავნე მწერების გასანადგურებელი მოწყობილობები**

**22-01 სასროლი იარაღი**

**22-02 სხვა იარაღი (გარდა სასროლისა)**

**22-03 საბრძოლო მასალები, რაკეტები და პიროტექნიკური ნაწარმი**

**22-04 სამიზნეები და დამხმარე მოწყობილობები მათთვის**

*შენიშვნა:*
*შეიცავს, მათ შორის, მოძრავი სამიზნეების ასამოქმედებელ სპეციალურ მოწყობილობებს.*

**22-05 სანადირო და სათევზაო მოწყობილობები**

*შენიშვნა:*
*არ შეიცავს სამოსს (კლ. 02) და იარაღს (კლ. 22-01 ან 22-02).*

**22-06 ხაფანგები, მავნებლების გასანადგურებელი მოწყობილობები**

**22-99 სხვადასხვა**

**დიზაინების საერთაშორისო კლასიფიკაცია**
**(ლოკარნოს კლასიფიკაცია)**
**მე-15 რედაქცია**

## კლასი 23

**სითხეებისა და აირების მანაწილებელი, სანიტარული, გათბობის, სავენტილაციო და ჰაერის კონდიცირების მოწყობილობები, მყარი სათბობი**

**23-01 სითხეებისა და აირების მანაწილებელი მოწყობილობები**

***შენიშვნა:***
*შეიცავს, მათ შორის, მილებსა და არმატურას მათთვის.*

**23-02 [სარეზერვო ქვეკლასი]**

**23-03 გათბობის მოწყობილობები**

**23-04 მოწყობილობები ჰაერის ვენტილაციისა და კონდიცირებისათვის**

**23-05 მყარი სათბობი**

**23-06 სანიტარული მოწყობილობები პირადი ჰიგიენისათვის**

**23-07 მოწყობილობები შარდვისა და დეფეკაციისათვის**

**23-08 სხვა სანიტარული მოწყობილობები და აქსესუარები, რომლებიც არ განეკუთვნება სხვა კლასს ან ქვეკლასს**

**23-99 სხვადასხვა**

## კლასი 24

**სამედიცინო და ლაბორატორიული მოწყობილობები**

***შენიშვნა:***
*ტერმინი "სამედიცინო მოწყობილობა" მოიცავს აგრეთვე ქირურგიულ, სტომატოლოგიურ და ვეტერინარულ მოწყობილობებს.*

**24-01 აპარატები და მოწყობილობები ექიმების, კლინიკებისა და ლაბორატორიებისათვის**

***შენიშვნა:***
*ა) შეიცავს, მათ შორის, ფიქსირებულ სამედიცინო აპარატურას და აღჭურვილობას;*
*ბ) არ შეიცავს ხელის ხელსაწყოებს და აღჭურვილობას (კლ. 24-02).*

**24-02 სამედიცინო ინსტრუმენტები, ლაბორატორიაში გამოსაყენებელი ხელსაწყოები და იარაღები**

**24-03 პროთეზები**

**24-04 მასალები ჭრილობის შესახვევად და ავადმყოფების მოსავლელად**

***შენიშვნა:***
*შეიცავს, მათ შორის, შემწოვ სახვევ საშუალებებს.*

**24-05 დამხმარე მოწყობილობები სიარულისათვის**

***შენიშვნა:***
*არ შეიცავს ხელჯოხებს (კლ. 03-03).*

**24-99 სხვადასხვა**

## კლასი 25
**სამშენებლო მოწყობილობები და კონსტრუქციის ელემენტები**

**25-01 სამშენებლო მასალები**

***შენიშვნა***:
*შეიცავს, მათ შორის, აგურებს, კოჭებს, პროფილებს, ფილებს, კრამიტს, შიფერს და პანელებს.*

**25-02 წინასწარ დამზადებული ან წინასწარ აწყობილი სამშენებლო ელემენტები**

***შენიშვნა:***
*ა) შეიცავს, მათ შორის, ფანჯრებს, კარებებს, დარაბებს, ტიხრებსა და გისოსებს;*
*ბ) არ შეიცავს კიბეებს (კლ. 25-04).*

**25-03 სახლები, გარაჟები და სხვა ნაგებობები**

**25-04 კიბის საფეხურები, კიბეები და სამშენებლო ხარაჩოები**

**25-99 სხვადასხვა**

## კლასი 26

**სანათი ხელსაწყოები და მოწყობილობები**

**26-01  სასანთლეები, შანდლები და კანდელაბრები**

**26-02  გადასატანი სანათები, ჩირაღდნები, ხელისა და სხვა ფარნები**

**26-03  მოწყობილობები საზოგადოებრივი ადგილების ან სცენის გასანათებლად, ან გარე განათებისათვის**

*შენიშვნა:*
*შეიცავს, მათ შორის, ქუჩის ფარნებს, სცენის გასანათებელ მოწყობილობებსა და პროჟექტორებს.*

**26-04  სინათლის წყაროები, ელექტრული ან სხვაგვარი**

*შენიშვნა:*
*შეიცავს, მათ შორის, კოლბებს ელექტრონათურისათვის, მნათ დაფებსა და მილაკებს, ასევე სანთლებს.*

**26-05  ნათურები, სტანდარტული ნათურები, ჭაღები, კედლისა და ჭერის სანათები,  ფოტო და კინემატოგრაფიული პროექტორის ნათურები**

**26-06  მნათი მოწყობილობები სატრანსპორტო საშუალებებისათვის**

**26-07  ნაწილები და აქსესუარები განათების აპარატურისათვის, რომლებიც არ შედის სხვა კლასებში ან ქვეკლასებში**

*შენიშვნა:*
*არ შეიცავს ელექტრულ ან არაელექტრულ სინათლის წყაროებს (კლ. 26-04).*

**26-99  სხვადასხვა**

## კლასი 27
**თამბაქოს ნაწარმი და მოსაწევი საკუთნო**

**27-01 თამბაქო, სიგარები და სიგარეტები**

**27-02 ჩიბუხები, მუნდშტუკები სიგარებისა და სიგარეტებისათვის**

**27-03 საფერფლეები**

**27-04 ასანთები**

**27-05 სანთებლები**

**27-06 პორტსიგარები, კოლოფები სიგარებისა და სიგარეტებისათვის, ქისები და ქილები თამბაქოსათვის**

*__შენიშვნა__:*
*ა) არ შეიცავს საფუთავებს (კლ. 09);*
*ბ) შეიცავს, მათ შორის, ბუდეებს ელექტრონული მოსაწევი საკუთნოსათვის.*

**27-07 ელექტრონული სიგარეტები და სხვა ელექტრონული მოსაწევი საკუთნო**

**27-99 სხვადასხვა**

## კლასი 28

**ფარმაცევტული და კოსმეტიკური პროდუქტები, საკუთნო და მოწყობილობები ტუალეტისათვის**

*შენიშვნა:*
*არ შეიცავს საფუთავებს (კლ. 09).*

**28-01 ფარმაცევტული პროდუქტები**

*შენიშვნა:*

*ა) შეიცავს ფარმაცევტულ პროდუქტებს ცხოველებისთვისაც;*
*ბ) შეიცავს ქიმიურ ნივთიერებებს აბების, ტაბლეტების, კაფსულების და ობლატების ფორმით;*
*გ) არ შეიცავს მასალებს ჭრილობის შესახვევად და ავადმყოფების მოსავლელად (კლ. 24-04).*

**28-02 კოსმეტიკური პროდუქტები**

*შენიშვნა:*
*შეიცავს კოსმეტიკურ საშუალებებს ცხოველებისთვისაც.*

**28-03 ტუალეტის საკუთნო და სილამაზის სალონის მოწყობილობები**

*შენიშვნა:*
*ა) შეიცავს სამართებლებს, თმის მოსაშორებელ მოწყობილობებს, ხელსაწყოებს და მოწყობილობებს მასაჟისათვის;*
*ბ) არ შეიცავს ტუალეტის და მაკიაჟის ფუნჯებს (კლ. 04-02), ან ცხოველების მოსავლელ საგნებს (კლ. 30-10);*
*გ) არ შეიცავს ხელსაწყოებსა და აპარატურას თმის ვარცხნისათვის (კლ. 28-06).*

**28-04 პარიკები და ხელოვნური სილამაზის საგნები**

**28-05 ჰაერგამწმენდები**

**28-06 ხელსაწყოები და აპარატები თმის ვარცხნისათვის**
*შენიშვნა:*
*ა) შეიცავს, მათ შორის, ხელსაწყოებს და აპარატებს თმის შესაჭრელად;*
*ბ) არ შეიცავს პარიკებს და შინიონებს (კლ. 28-04);*
*გ) არ შეიცავს ცხოველების მოსავლელ საგნებს (კლ. 30-10).*

**28-99 სხვადასხვა**

## კლასი 29

**ხანძარსაწინაღო, უბედური შემთხვევის თავიდან ასაცილებელი ან საშველი მოწყობილობები და აღჭურვილობები**

**29-01 ხანძარსაწინაღო მოწყობილობები და აღჭურვილობები**

***შენიშვნა:***

*ა) შეიცავს, მათ შორის, ცეცხლსაქრობებს;*
*ბ) არ შეიცავს სახანძრო მანქანებს (სატრანსპორტო საშუალებებს) (კლ. 12-13), სახანძრო შლანგებს და სახანძრო შლანგის საქშენებს (კლ. 23-01).*

**29-02 უბედური შემთხვევის თავიდან ასაცილებელი ან საშველი მოწყობილობები და აღჭურვილობები, რომლებიც არ განეკუთვნება სხვა კლასებს**

***შენიშვნა:***

*ა) შეიცავს, მათ შორის, ცხოველების საშველად განკუთვნილ მოწყობილობებს და აღჭურვილობებს;*
*ბ) არ შეიცავს ჩაფხუტებს (კლ. 02-03) და უბედური შემთხვევისგან დამცავ ტანსაცმელს (კლ. 02-02, 02-04 ან 02-06).*

**29-99 სხვადასხვა**

# კლასი 30

## საგნები და მოწყობილობები ცხოველების შესანახად და მათ მოსავლელად

***შენიშვნა:***
*არ შეიცავს საკვებ პროდუქტებს ცხოველებისათვის (კლ. 01) ან ფარმაცევტულ და კოსმეტიკურ საშუალებებს ცხოველებისათვის (კლ. 28-01 ან 28-02).*

**30-01  სამოსი ცხოველებისათვის**

**30-02  ბაკები, გალიები, ძაღლის სადგომები და სხვა მსგავსი ნაგებობები**

***შენიშვნა:***
*არ შეიცავს სამშენებლო ნაგებობებს (კლ. 25).*

**30-03  საკვებურები და სარწყულებლები**

**30-04  სასარაჯო ნაწარმი**

***შენიშვნა:*** *შეიცავს, მათ შორის, საყელურებს ცხოველებისათვის.*

**30-05  შოლტები და მათრახები**

**30-06  საგებები, ბუდეები და ავეჯი ცხოველებისათვის**

***შენიშვნა:***
*შეიცავს მათ შორის, კატის საფხაჭნ მოწყობილობებს.*

**30-07  ქანდარები და სხვა სამარჯვები გალიებისათვის**

**30-08  დამღის დასასმელი მოწყობილობები, დამღები, ხუნდები და ბორკილები**

**30-09  მისაბმელი ბოძები**

**30-10  ნაწარმი ცხოველების მოსავლელად**

**30-11  ქვიშის ყუთები და მოწყობილობები ცხოველების ექსკრემენტის მოსაცილებლად**

**30-12  სათამაშოები და სავარჯიშო აღჭურვილობა ცხოველებისათვის**

**30-99  სხვადასხვა**

## კლასი 31

**საჭმლის ან სასმელების მოსამზადებელი მანქანები და სამარჯვები, რომლებიც არ მიეკუთვნება სხვა კლასებს**

***შენიშვნა:***
*არ შეიცავს საჭმლისა და სასმელის მოსამზადებელ ხელით მართვად საგნებს, ხელსაწყოებსა და სამარჯვებს (კლ. 07) ან სამზარეულოს დანებს და დანებს ძვლოვანი ხორცის დასამუშავებლად (კლ. 08-03).*

| |
|---|
| 31-00 **საჭმლის ან სასმელების მოსამზადებელი მანქანები და სამარჯვები, რომლებიც არ მიეკუთვნება სხვა კლასებს** |

# კლასი 32

**გრაფიკული სიმბოლოები და ლოგოტიპები, ზედაპირის მოხატულობა, ორნამენტები, ინტერიერის და ექსტერიერის მოწყობა**

**32-01  გრაფიკული სიმბოლოები და ლოგოტიპები, ზედაპირის მოხატულობა, მორთულობა**

**32-02  ინტერიერის და ექსტერიერის მოწყობა**

*შენიშვნა:*
*შეიცავს, მათ შორის, ობიექტების ფიქსირებულ განლაგებას (დახურულ ან ღია სივრცეში).*